1891~
~1959







საქართველოს სსრ
წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

ი19/91.
PX 4942/1.

რედაქტორი ვენერა ხუნდაძე
მხატვარი ბადრი სამსონაძე
უე 13275 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 1741
ფასი 35 კაპ.
თ ფ. ბ. ს. პლეხანოვის პრ. 50



გალაკ-
-ტიონ
ტაბიძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა

1891~
~1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქ-
-ტიონ
ტაბიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





საქართველოს სსრ
წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

ეროვნული
ბიბლიოთეკა
PX 4942/1.

რედაქტორი ვენერა ხუნდაძე
მხატვარი ბადრი სამსონაძე
უე 13275 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 1741
ფასი 35 კაპ.
თ ფ. ბ. ს. პლეხანოვის პრ. 50

„შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშვენები“.

თბილისის ერთ ქუჩაზე დგას ქვაში გაცოცხლებული გალაკტიონი. თითქოს ალიდან ამოსულიო, ქარისაგან წვერგახრილი, თავაწეული, ღონიერი ქედითა და შორსგამიზნული მზერით, კაცს ეგონება, სადაცაა ამოზვავდება ბრინჯაოს სხეულიდან, ამა ქვეყნის სიავ-სიამეთა სიმბოლად რომ შემოუჭედავს ხელოვანს მისი ღვთიური სულისათვის. დგას იგი, საუკუნის მოსუცი, ბიბლიურად ლამაზი და დაუჯერებელი. დგას და თავისი ოდნავ ნერვიული სმით დროებამს გასძახის: „ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა, დასხერა სამყარო გამოუცნობ წყლულებით“...

ამ ძახილში უმრწემეს თანამოკალმეთა კეთილი რჩევაც ჩანს და ჩვენი მშფოთვარე, მსოფლიოს ბედით გულგასენილი პოეტი-ტრიბუნის მარადიული ურვაც.

ულმობელი დრო თანდათანობით შლის მარჯანიშვილის ქუჩაზე მცსოვრები მოქალაქის — გალაკტიონ ტაბიძის კვალს, რადგანაც დღითიდღე იპყრობს ჩვენს სულსა და გონებას უფრო დიდი გალაკტიონი — ჩვენი მარადიული სულიერი თანამეზავრი, ძესაღუძლე, საუკუნის პოეზიის აზრთა მპყრობელი.

მოგონებების გაყვითლებულ ფურცლებსდა შემორჩა ის ბილიკები, რითაც „ლურჯა ცხენებს“ ავტორი დიდი ცხოვრებისკენ მიაბიჯებდა: ჭყვიშის ფშანები, იმერული ოდა რაონის პირად, ქუთაისის სახულიერო სასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარია, ფარცხნალის დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა, ხელნაწერი ჟურნალებიდან პირველ წიგნამდე მისვლა. დღიურებმა და პირადმა წერილებმადა შეინახეს პოეტის მეუღლის — უსათნოესი ოლდა ოკუჯავასა და გალაკტიონის საყვარულის ტრაგიკული ისტორია. სადღაც შორეულ ევროპაში გაიცრიცა ოცნებახავით მიუწვდომელი მერი შერვაშიძე. ცოტასღა ახსოვს ამ საუკუნის გარიჟრაჟზე სოფლის მასწავლებელთა ყრილობის მონაწილე გალაკტიონი და არც კომინტერნის VI კონგრესის დელეგატთა შორისაა ბევრი ცოცხალი, „ეპოქის“ ავტორის შთაგონებული სახე რომ შემოენახა.

და მაინც გონების თვალი დდესაც ხედავს ელბაქიძის ხიდზე რწევით მიმავალ, დიდჩანთიან მაღალ კაცს, რომელიც თავის პატარა საქმეებზე ჯაქცეულ მოქალაქეს ჯიუტად აკვირდება, თითქოს რაღაც უნდა ამოიცნოს, რაღაც უნდა უთხრასო. უბრად ჩავლილს ნაღვლიანად გაიყოლებს თვალს, ხელს ჩაიქნევს და გზას განაგრძობს.

ეს ყველფერი, გალაკტიონის ყველასთვის ადვილად დახანახი, ჩვენთვის ძვირფასი, გარეგნული სატია, მაგრამ ნამდვილი გალაკტიონი სულ სხვა იყო. გახაოცარია, არც ერთ ფოტოზე თავისთავს არა ჰგავსო, თქვა ამასწინათ ერთმა მისმა თანამედროვემ ,გალაკტიონის გამოფენის დათვალიერებისას და იგი მართალი იყო. ჩვეულებრივ ადამიანთაგან, სამწუხაროდ, ცოტას შეეძლო სწორი ლოგიკური კავშირი დაემყარებინა იმ გალაკტიონსა, ხანდახან კომუნალურ გადასახადს დაგვიანებით რომ იხდიდა და წყნეთში მიმავალი, ავტობუსის ბოლო სავარძელზე მგზავრებს შორის ჩაჭედილიყო, და იმ გალაკტიონს შორის, რომლის გონების მეფური მოძრაობა მის სწორუპოვარ პოეტურ შედევრებშია.

მწიგნობარ ტაბიძეების ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, ადრე წასული მასწავლებლის — ვახილ ტაბიძისა და მაკრინე ადეიშვილის პირშო, ბოლოს, ათას ქარში გამოვლილი აკადემიკოსიც, ისეთივე ალალი და წმინდა იყო, როგორც რვა წლის ყმაწვილი, ქუთაისს რომ გაგზავნა მოსიყვარულე დედამ.

გახაოცრად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. მისი ნაცნობ-მეგობრები ჰყვებიან, თუ როგორ მოახერხა, ზოგჯერ სათანადოდ ვერშეენობილმა უახლესი პოეზიის ზევსმა, არ გარეულიყო კაცთა ჭირვეულობასა და პატივმოყვარულ კინკლაობაში. მისი პიროვნული და პოეტური მანტია ყანაოთივით თეთრი და სუფთა იყო მაწყივ, როგორ ახარებდა მცირეოდენი ყურადღებაც კი თანამედროვეთა, რა გულმოდგინედ და კეთილხანდისიერად ეკიდებოდა თავის მოვალეობას იმ პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო, სამსახურებრივ სკამებზეც, რაც მისთვის სიცოცხლეში გაიმეტეს. პოეზიის სექციის თავმჯდომარედ რომ აირჩიეს, თავისი მხრებით აიტანაო მეორე სართულზე სადღაც, სარდაფში, მიგდებული ძველი წიგნების კარადა. „კომუნისტის“ ლიტერატურული კონსულტანტობა რომ დაავალეს, გულისამაჩუყებელ წერილებს სწერდა თურმე ხელმოცარულ პოეტებსა და გრაფომანთ, ბავშვური გულმოდგინებით უმენდა და თავს უქნევდა მისი ახალი წიგნის გაჭირვეულებულ რედაქტორს, ხშირად უკანა რგებში, რიგით მაყურებლად მჯდარი, ადგრთოვნებით უკრავდა ტაშს თავის ლიტერატურულ კოლეგებს.

ნამდვილი მეგობრები ცოტა ჰყავდა. ბუნებრივიცაა. თავის ხვაშადს მხოლოდ იმას გაუზიარებდა, ვისაც ამის ღირსად ჩათვლიდა. ასეთები კი ბევრი როდი ეხვია ირგვლივ. გრძნეულივით სცნობდა მისაუბრეს. ამიტომაც თვალს დიდხანს არ უსწორებდა, განზე გააპარებდა ხშირად მზერას, თითქოსდა დეოგენესეთ მთელი ცხოვრება ვიღაცას ეძებდა — კაცს, ნამდვილს და ჭეშმარიტს.

ამასთანავე ყურეები კარგა ხანია გაიარა.

ახლა, თავისი მაღალი პიედესტალიდან შენდობას უთელს ყველას, იმათაც კი, ზოგჯერ რომ ვერ უგებდნენ და სათანადოდ ვერ აფასებდნენ. იმათაც, დასაფლავების წინა დღეს აღებული სახის ნიღაბი ვინც დგგეკარგა (თუმცა იგი იმ მცირერიცხოვან პოეტთა შორის უბირველესია, ნიღაბი რომ არასოდეს უტარებიაო).

იმქვეყნად ვალი არავისი გაჰყოლია. უსიყვარულოდ და უულქსოდ არ დაუტოვებია ის შორეული, ცისფერთვალება, უცნობი ქალიც კი, ერთხელ ქარში მოსასხამზე პოეტს ქინძისთავი რომ დუმაგრა.

* * *

პირად ცხოვრებაში ასე. ჩუმი და მორიდებული, მსატვრულ შემოქმედებაში უდარეხად ამაყი და უკომპრომისო იყო.

კარგად იცოდა, ზედმეტი თავმოდრეკა ჭეშმარიტ ხელოვანთა სიდიადეში მხოლოდდა დაიჭვებო გულუბრყვილოდ მზირალთ.

როგორც მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის მესაამ, მან ერთბაშად მოიტანა მსატვრული შემოქმედების ოქროს ზოდები და თავისი ჯიუტი ნებით არა მარტო აიძულა ლიტერატურული აზრი, დაეხასა და დაეფასებინა ეს ოქროს ზოდები, გამოჩენისთანავე დდგა ეროვნული პოეზიის საჭესთან და სიცოცხლის ბოლო დღემდე არ გაუშვია ხელიდან წინამძღოლის ჩირადღნი.

მეოცე საუკუნეში არავის მოუხდენია ქართულ მწერლობაზე ესოდენ გრანდიოზული გავლენა და დდესაც, თითქოსდა გალაკტიონის მისნური ხელი მართავს თანამედროვე ქართულ პოეზიას.

რუსთაველის ცრუ ეპიგონთა და აკაკისეული დიდებული ტრადიციის უდღეურ გამგრძელებელთა ხელში დადღილი ქართული ლექსი გალაკტიონმა აიტაცა, შვილივით შეიფარა და ახალ სიმაღლეებს ანიარა.

„ლურჯა ცხენების“ ავტორის ვერსიფიკაციული სახსოვნელები ჩვენს პოეზიაში დღემდე მიუღწეველი და განუმეორებელია.

გალაკტიონმა უმშვენიერესი ქართული სიტყვა ისეთ არნახულ კონტექსტებში წარმოვიდგინა, რომ ჩვენი ენის სიღმე და სინატიფე ნაილივ დავგანახა, ახალი მასშტაბები და განზომილებანი მოუძებნა პოეტურ მეტყველებას.

ამ გენიალურ პოეტ-კომპოზიტორს გააჩნდა სიტყვის მუსიკალურ საიდუმლოებათა ამოცნობის არაჩვეულებრივი უნარი.

სალიტერატურო ასპარეზზე გალაკტიონის გამოჩენას რიდი ახლდა პოეტური სიყრმის გაუბედავი ნაბიჯები. თითქოსდა იგი ახალგაზრდა პოეტი არასოდეს ყოფილა, ამ ცნების საშედეგათო გაგებით. იმთავითვე დასრულებული ოსტატი იყო. „არტისტული ყვავილები“ გალაკტიონის მეორე წიგნია და პოეტის მსატვრული ოსტატობის ყველაზე მკაფიო გამოვლინება.

სწორედ გალაკტიონს ხვდა წილად ჩასწვდომოდა ჩვენი თანამედროვის სულის ურთულეს ხვეულებს, შუამცდარად ევლო ჩვენი ფიქრების ლაბირინთებში, იუველირის სიზუსტით აეხსნა და მზის სინათლეზე გამოეტანა ყოველივე ნატიფი და მშვენიერი, ადამიანთა ადამიანობას რომ ადასტურებს. ალბათ, იშვიათია კაცთა განწყობილება, გალაკტიონის უნაზეს პოეტურ კამერტონზე რომ არ არეკლილა. ალბათ იშვიათია მკითხველი, „ეერის“ ავტორის პოეზიაში რომ ვერ იპოვოს სალბუნი სულისა.

ამ საუკუნეს ქართული მწერლობის ისტორიის დიდ წიგნში გალაკტიონის საუკუნეს დაარქმევენ მომავლის მკვლევარნი.

* * *

რუსეთის იმპერიის საბედისწერო წლებში, როს პეერში დენთის სუნი იდგა და ავად მდუმარე „ავრორა“ სადაცაა ახალი ერის მაცნედ დაიქუხებდა, მოსკოვის ქუჩებში დაბიჯებდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა კაცი. საგულდაგულოდ დავარცხნილი, შუაზე გაყოფილი თმით, გახამებული თეთრი პერანგითა და მოდური შავი ყელსახვევით თუ იმსჯელებდით, რომელიმე საკონსულოს ჩინოვნიკი გეგონებოდათ. მეოცნებე, წყლიანი თვალებით აკვირდებოდა თვითმპყრობელობის განწირულ ტალანებს, რევოლუციით დანაღმულ ქუჩებში ეული ფრანტის საეჭვო სვლით დაინტერესებულ პოლიციელს უჩვენებდა საბუთს, რომ სარეეისორო კურსების მსმენელი იყო და საცხოვრებლად მოსკოვში გადმოსული ბედისპაპიებელი, რომელსაც სურდა თეატრალური ხელოვნებისათვის შეეწირა ცხოვრება. სინამდვილეში კი სარეჟისორო კურსების მსმენელს უკვე ვანდდებული ჰქონდა უკვდავება. ოცდასუთი წლისაც არ იქნებოდა და უკვე დაეწერა „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „ბერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „მამული“, „მესაფლავე“, „ატმის ყვავილები“, „გეტერა“, „რომელი საათია?“, „უსიყვარულოდ“, „მე და ღამე“, „აურიის მთები“, „შემოდგომის დღე“... პოეზიის ცაზე ასე ერთბაშად და მკაფიოდ გაბრწყინებულს უკვე ღეზწრო ლუპამომარჯვებულ ისტორიკოსთათვის და მორცხვთბაგაშვებთან ეთქვა; „რომ მეფე ვარ და პოეტი“...

რა მოსდა? რად გამოქცეოდა იგი უმანკო ჩასახვების მამათა სავანეს, მწუხარე სახის ანგელოსს გრძელი პერგამენტით ხელში, ნაწვიმარში ჩასილულ ვარდს, ატმის „დადილულ რტოს“ — მის მიერ შექმნილსა და ფერშეხსმულ ხატებს ჭეშმარიტი პოეზიისას?

რევოლუციის აკვნის ადგილას ქართველი პოეტი სწორედ მისმა უტყუარმა პოეტურმა გუმანმა, სამყაროს განახლების წინადღით ჩამოვარდნილმა დიდმა და საშიშმა სიჩუმემ მოიყვანა.

იგი არ იყო პროფესიონალი რევოლუციონერი. ვიგონებში არ შეხვდებოდით შრიფტით სავსე ჩემოდნით ხელში და არც არალეგალურ სტამბებში უოფილა ღამე, მაგრამ გზა — გალაკტიონი „მგლოვიარე სერაფიმებიდან“ „ჯონ რიდამდე“ რომ მიიყვანა, მარტო „მთაწმინდის მთვარეზე“ როდი გადოდა. პოეტის სულში სიყრმიდანვე მზადდებოდა ხალხის აზვირთების ლოგიკური დასასრულის ძლერი სოციალური დრამა. ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ქუთაისში, რიონის პირას, ნაცვლაშვილების სახლში იკრიბებოდა მოწაფეთა რევოლუციური წრე. უწვერულ შეთქმულთა შორის ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძეც ჩანდნენ. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ცეცხლის პირას, ჯორკოზე ჩამომჯდარ ამ აღგზნებულ ყმაწვილთაგან ერთის რუსული პოეზიის განახლება მოუწევდა, სოლო მეორეს — მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეფის გვირგვინი. ორივეს ერთად კი საბჭოთა პოეზიის აკვნის დარწევა, რევოლუციის უტყუარი პოეტური მატიანის შექმნა და ამით წარუშლელი კვალის გავლება მსოფლიო ლიტერატურის ცაზე.

მებრძოლი პოეტის ფარჯა მძიმე იყო. მითუმეტეს, რომ გალაკტიონის თვალწინ რევოლუცია თეატრალური დეკორატიულობით კი არ ჩატარდა, არამედ მთელი თავისი სიხასტიკით („გახაოცარი და იდუმალი ვიდოდნენ მძიმე კრეესერები)“. რა ღვთიური პოეტური სმენა ჰქონდა. რა დ-დებულად ითავსებდა მისი მუზა, ერთ დღეს „დროშები ჩქარა“ დაეწერა და მეორე დღეს მუსლმაყრილს, „დიდლილ ქალივით“ ხატებთან მისულს იდუმალი ჩურჩულით ეთქვა:

მზეო თაბათვისა, მზეო თაბათვისა,
ლოცვად მუსლმაყრალი გრაალს შეეფერება,
ოგი, ვინც მაყვარდა დიდი სიყვარულით
ფრთებით დაიფარე ამას ეეეფერება.

* * *

სიკეთისაკენ, საყოველთაო ჰარმონიისკენ ძიმხმობ გალაკტიონს უტყუარი პოეტური გუმანით მოელი მისი ეპოქა მოეცვა.

შეკვრდენავით გაფაქიზებული მზერა ჰქონდა.

ტექნიკური ბუმის ამ საუკუნეში პოეტის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სადღაც, „ქალაქში, მტკვერში“ წაქცეული ბავშვის ნუშის თვალები. და როცა ყოველდღიურობით დაღლილ ქვეყანას ღრმად ეძინა, გრძნეული მოხუცის ფანჯრებში სინათლე ენთო, ჩვენს ეროვნულ ნერვზე ყურმიდებული ტიტანი შუმფოეტული ჩურჩულებდა: „ამ გვიან ღამით ვიღაც დადის საქართველოში, ამ გვიან ღამით ვიღაცა კვნესიხ..“

მურმან ლებანიძემ ზუსტად დაიჭირა გალაკტიონის უცნაური სიკვდილით გამოწვეული გაურკვევლობა თვით ქართველ მწერალთა შორისაც:

კონსტანტინე ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.
„რა ჰქნა?“ — უმისამართოდ ჩიქოვანმა აკითხა.
„რა ჰქნა“ — ახლა არაკლიმ თქვა და თავი დასხარა, —
ამ დღეს ავად შენიშნა ეს ამდენი ჭიღარა.

სიკვდილით კიდევ ერთი კითხვის ნიშანი დაუსვა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ძნელად ჩასაწვდომ თავის სიცოცხლეს და შემოქმედებას.

თითქოს მისებურად, ეშმაკურად გაგვეხუმრა სიკვდილითაც კი.

სიცოცხლის მიმწუხრს დაწერილ ლექსებში ხშირად ისმის„ მოახლოვებული ორთქლმავლის გუგუნი“, „სახლიდან გასელის და არდაბრუნების“. „ჩამავალი მზის“ მწუხარე ჰანგები.

ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,
ო, ქვეეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიმეეეებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

მისი ცხოვრების განვლილ გზას რომ გახედავს, ზოგჯერ სინანულით ამოოხვნეშებს: „დრო ადარ დარჩა რომ ახალი იწყო ცხოვრება“, ზოგჯერ კი, რატომღაც, მელანქოლიის სიყრმისეულ ინტონაციებს უბრუნდება:

ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში,
ა[illegible] ყველა იქცა სოფელი,
[illegible] ცეები, რომ ახეთ დროში
ბეერე ბედისაც ვარ მადლობელი.

არა, ეს მარტო სიბერის ტკივილი არ არის. პოეტს, რომელსაც დაწერა „სიკვდილის გზა ორია არის ვარდისფერ გზის გარდა“, ძუ მგელივით მომხტარი სიბერეც ვერ შეაშინებდა. გალაკტიონის სევდას, მისტიკისა და ცრემლის ადრეულ პოეზიასთან მის დაბრუნებას, კომპლექსური მიზეზები განაპირობებდა.

ამ განცდებიდან კი, მოგეხსენებათ, ერთი ნაბიჯია სასოწარკვეთამდე.

და ის ერთი ნაბიჯიც გადაიდგა.

გალაკტიონის ჯიუტი ნება იყო დირიჟორი აქაც.

როგორც ჩანს, თვით არ ისურვა ძალაწართმეული, დაძაბუნებული გალაკტიონი ენახა თავის სიქართველოს.

...ახლაც ძველებურად მიცურავს ღრუბლებში მთაწმინდის მთვარე, არის ძველიც, არის ბევრი ყვავილები და სიყვარულის საყოველთაო გამოცხადებაც, მაგრამ ამ სახოებით დაწერილი დიდი წიგნის ავტორი, „ხეტიალთა ჩვენთა“ უერთგულესი თანამგზავრი, ადარ არის ჩვენს შორის.

აკი თვითონვე იწინასწარმეტყველა:

აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება,
მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

რევაზ მეშველიანი